ხაშურის მოამბე

№34 (407) 11 სექტემბერი, ორშაბათი, 2023 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

7 სექტემბერს, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, ნინო ლიპარტელიანის თავმჯდომარეობით.

საკრებულომ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დღის წესრიგით გათვალიწინებული 4 საკითხი.

მოისმინა და დადებითად შეაფასა ანგარიში ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობის შესახებ.

პროექტები საკრებულოს აპარატის უფროსმა ზურამ ჩხიტუნიძემ, ადამიანური რესურსების მართვის, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა ნანა ხუციშვილმა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა ლელა მაჭარაშვილმა წარმოადგინეს.

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე სიმონ გულედანი მიგრაციის საერთაშორისო ორგანზაციის (IOM) წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები და რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ემიგრაციის, ქვეყანაში

მიგრანტების დაბრუნებისა და მათი მდგარდი რეინტეგრაციის ხელშეწყობის საკითხებზე ისაუბრეს.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) არის მთავრობათაშორისი ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს ჰუმანურ და მოწესრიგებულ მიგრაციას. ასევე, ცალკეული რეგიონებისა და ქვეყნის განვითარებისთვის მიგრაციის დადებითი პოტენციალის გამოყენებას. ორგანიზაციის მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების მდგრადი რეინტეგრაციის ხელშეწყობა, როგორც ინდივიდუალური დახმარების, ისე დაბრუნებული თემების გაძლიერების გზით. პროგრამის ფარგლებში უკვე განხორციელდა ისეთი აქტივობები, როგორებიცაა მუნიციპალიტეტებში საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების შექმნა, დაბრუნებული მიგრანტების ბიზნეს იდეების დაფინანსება/თანადაფინანსება და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ-ეკონომიკური პროექტების დაფინანსება.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ პროექტების განხორციელება, შიდა ქართლის რეგიონთან ერთად, სვანეთის, ქვემო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მხარეში იგეგმება.

გილოცავთ, გვეიმედებით!

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო, უდიდესი სიამაყით გილოცავთ ჩვენი მუნიციპალიტეტის პირველკურსელებს, ცხოვრების ახალ, საპასუხისმგებლო ეტაპზე გადასვლას. წინსვლას და წარმატებებს გისურვებთ თქვენ, ვინც საკუთარი ცოდნა ქვეყნის, საკუთარი ქალაქის განვითარებას უნდა მოახმაროთ. გვეამაყება, რომ ხაშურელი სტუდენტების რიცხვი, ყოველწლიურად მატულობს. გვახარებს სტატისტიკა და თუნდაც იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ მხოლოდ წელს, 19 ასპროცენტიანი გრანტის მფლობელი გვყავს.

გილოცავთ, გვეიმედებით!

-გადავარჩინოთ ჩვენი წარსული -

გ ო რ ა თ ი შ ვ ე ლ ა ს ი თ ხ ო ვ ს

ჩვენს მხარეში(ისტორიული შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილში) ბევრი ისეთი ძეგლია, ვგულისხმობთ ე.წ. არქეოლოგიურ ძეგლებს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. არადა, დროთა მსვლელობა ისეთ ზიანს აყენებს ამ შესანიშნავ ძეგლებს, რომ ხელიდან გვეცლება ჩვენი წარსულის შესახებ უნიკალური ინფორმაციის შემცველი არქეოლოგიური მასალა. ერთერთ ასეთ მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს გორათი.

ამაში სულ ახლახანსაც დავრწმუნდით, როცა ადგილ გორათიდან კიდევ რამდენიმე ასეთი უნიკალური ნივთი მოგვაწოდა ადგილობრივმა მცხოვრებმა გერასიმე ჩაჩოიანმა.

ამ ძეგლზე ადრე აღმოჩენილმა მასალამ დაგვარწმუნა რომ იგი სულ ცოტა გვიანბრინჯაოს(ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარი) ხანიდან ჩანს დასახლებული. ალბათ ამ ეპოქის უნდა იყოს ის შესანიშნავი არტეფაქტები, რომლებიც სულ ახლახანს შეემატა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. ესენია დიდი ხელოვნებით დამზადებული საკინძები, რომელთაც აშკარად ატყვიათ ოსტატის ხელი. ასევე შესანიშნავად ნაძერწი თიხის ჭურჭლების ნატეხები, ძვლოვანი მასალა და ა.შ.

ადგილი გორათი მდებარეობს ხაშურის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, თბილისი-ბათუმის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს. გორათი ნასოფლარია, დღეს იგი ხაშურის შემადგენლობაშია და მის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენს.

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით „გორა მცირე ბორცვაკია“. ამ შემთხვევაში გორათის სახელწოდება მომდინარეობს იმ ბუნებრივი გორებიდან, რომლებიც აქ მდებარეობდა. სამი ბორცვიდან დღეს მხოლოდ ერთია, ორი კი აქ გამავალი საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობის დროს მოიშალა.

პირველი ისტორიული დოკუმენტი, რომელშიც გორათი, როგორც დასახლებული პუნქტი მოიხსენიება, 1700 წლით თარიღდება. ეს დოკუმენტი წარმოადგენს ერეკლე პირველის (ნაზარალიხანის) ბრძანებას ხაშურელებისა და გორათელებისადმი. ერეკლე პირველი აფრთხილებს გორაელებს(ასე არიან მოხსენიებული გორათელები დოკუმენტში - ჯ.ქ.) ხაშურელებთან ერთად, რომ აღარ შეაწუხონ სურამელები.

რუისის სამწყსოს დავთრის მიხედვით(1715წ.) აქ 4 კომლი ცხოვრობს, კერძოდ, ნათიშვილი(2 კომლი), ღონენაშვილი და ზაუტაშვილი.

გორათი და აქ მდებარე გორა ძველი(ბრინჯაოს ხანის) ნამოსახლარიცაა. ხაშურ-ბორჯომის რკინიგზის გაყვანის დროს, XIX საუკუნის 90-იან წლებში, აქ აღმოჩნდა არაერთი საყურადღებო არქეოლოგიური ნივთი. ამის შესახებ 1895 წელს გაზეთი ივერია აღნიშნავდა: „გორათის ეკლესიის მახლობლად მუშა ლეკებს აღმოუჩენიათ ძველი დროის აკლდამები. გზისთვის საჭირო მიწა თურმე ამ აკლდამებიდან ამოაქვთ და ბევრს სპილენძის ნივთებსაც ჰპოულობენ. ჰპოულობენ დანებს, ხანჯლებს, ისრის ნამტვრევ ბოლოებს, ცულებს და აზიური სადგისების მაგვარ რაღაცებსაც, რომლებსაც მშვენიერეი ხელოვნება ჯერ კიდევ კარგად ეტყობა. ეს ნივთები სულ სპილენძისაა(?). ბევრია იმისთანა ნივთებიც, რომელთაც სახელი ვერ დავარქვი. ბევრს ჰპოულობენ აგრეთვე კრიალოსნებს, ყელის ძეწკვებს, მაკრატლებს და სხვა. ყველა ეს ნივთი ძალიან კარგად შემონახულა. ეს ნივთები თურმე რაღაც უპატრონობით იკარგება, რადგან პოვნისთანავე მუშა ლეკები ჰყიდიან... იმისთანა ნივთებიც ჰხვდებათ, რომლებსაც ზედ რაღაც გაუგებარი წარწერა აქვთ“. გორათში მდებარეობს იოანე წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია, რომელიც თარიღდება XV – XVI საუკუნეებით.

ხალხში გავრცელებული თქმულების მიხედვით, თურმე, თამარ მეფეს სურამის ხეობაში დიდი ომი ჰქონია თათრებთან. თამარს თავისი ჯარით თათრები დაუმარცხებია და საქართველოს საზღვრებიდან უკუუგდია. ბრძოლის დამთავრების შემდეგ თამარი დამდგარა ერთ ამაღლებულ ადგილზე და გულითადი მადლობა გადაუხდია ქართველი მეომრებისათვის, რომლებსაც დიდი გმირობა გამოუჩენიათ. თამარს მათთვის საჩუქრები მიუცია. ამ ბრძოლის დროს დიდი ტალახი ყოფილა. მადლიერი მეომრები ტალახიანი ფეხებით მიდიოდნენ მეფესთან და მადლობას ეუბნებოდნენ. თამარის გარშემო იმდენი ტალახი მოგროვდა, რომ კარგად მოზრდილი გორაკი წარმოქმნილა. ამის ნიშნად და ომში გამარჯვების მოსაგონებლად, საქართველოს მეფეს ამ ადგილას გორაკზე ეკლესია აუშენებია.

ეს, რასაკვირველია, გახლავთ ლეგენდა. სინამდვილე კი იმაში მდგომარეობს, რომ ეს გორა დასახლებული უნდა იყოს შორეულ ხანაში(ყოველ შემთხვევაში, გვიანბრინჯაოს ხანიდან), ხოლო აქ მაცხოვრებლები იკრძალებოდნენ გორის მიმდებარე ტერიტორიაზე, უფრო დასავლეთისა და სამხრეთის მხარეს, რაზეც მიგვანიშნებს აქ თანამედროვე სამარხების გამართვის დროს ძველი წელთაღრიცხვის II – I ათასწლეულებით დათარიღებული არქეოლოგიური მასალის აღმოჩენის არაერთი ფაქტი.

ადგილი გორათი ისტორიულ წყაროებში პირველად მოხსენიებულია მეფე დავით VII ულუს აჯანყებასთან დაკავშირებით. ეს აჯანყება მოხდა 1260 წელს მონღოლების წინააღმდეგ. აჯანყების მოკლე ისტორია ასეთია.

მონღოლებმა მეფე დავით VII-ს მოსთხოვეს ჯარის გამოყვანა, თითქოსდა ეგვიპტეზე გასალაშქრებლად, მაგრამ სინამდვილეში მათ დავით ნარინის დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი(რომელიც 1259 წელს აჯანყდა მონღოლების წინააღმდეგ).

მეფემ წინასწარ თადარიგი დაიჭირა - თავისი მეუღლე, გვანცა დედოფალი და ახალშეძენილი ვაჟი, დიმიტრი ბიჯნისის ციხეში შეაფარა, თვითონ კი ქართველთა ლაშქრით ჯავახეთისაკენ გაემართა. აქ მან მოიწვია დიდებულთა თათბირი და შეკრებილთ აცნობა თავისი გადაწყვეტილება, რომ მონღოლებს აღარ დაემორჩილებოდა. მან დიდებულებს თავისუფალი მოქმედების უფლება მისცა. დავითის მოწოდებას მონღოლთა წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ დიდ ფეოდალთაგან მხოლოდ სამცხის მთავარმა სარგის ჯაყელმა დაუჭირა მხარი.

დავით ულუსა და სარგის ჯაყელს მხოლოდ 8 000 - იანი ჯარი ჰყავდათ. მეფემ მხედართმთავრობა სარგის ჯაყელს დაავალა. ზამთრის ყინვიანი დეკემბრის თვე იდგა. მტრის დანახვისთანავე ქართველები საბრძოლველად განეწყვნენ და „მყის ზედა მიეტევნეს“. ქართველთა 1500-მა ცხენოსანმა დაამარცხა არღუნის 6000-იანი მეწინავე ლაშქარი. მათი შეტევა ისეთი ძლიერი და ფიცხი იყო, რომ თათრებმა ვერ გაუძლეს და ოტებულნი გაიქცნენ ბრძოლის ველიდან. მონღოლთა ამ რაზმიდან მცირეოდენიღა გადარჩნენ. გაქცეულებმა არღუნის ძირითად ბანაკს მიაშურეს და „შეიხვეწნენ რაზმსა შინა არღუნისასა შინდარის გორისასა“. გამარჯვებული ქართველი მეწინავენი თავიანთ ბანაკში დაბრუნდნენ და სარგის ჯაყელს მონღოლთა დამარცხების ამბავი მიუტანეს.

ამ წარმატებით გამხნევებულმა ქართველთა სარდლობამ დაუყოვნებლივ მტრის ძირითად ძალაზე შეტევა გადაწყვიტა და მტკვრის ვიწროებიდან გამოვიდა. ეს ალბათ შეცდომა იყო, რადგან მონღოლთა უფრო მრავალრიცხოვან მხედრობასთან ქართველებს მტკვრის ვიწროებში უფრო გაუადვილდებოდათ შებრძოლება და უკეთესი იქნებოდა თვითონ იქ დაეცადათ და მტრის შემოტევას დალოდებოდნენ. მაგრამ გამარჯვებით გალაღებული ქართველები დაუყოვნებლივ შეტევას ეშურებოდნენ. არღუნი გაქცევას აპირებდა, მაგრამ მის ლაშქარში მყოფმა ქართველებმა შეაკავეს.

ბრძოლა დაიწყო მესხთა შეტევით. თვითონ „სარგის ჯაყელი უპირველეს ყოველთასა, მიუხდა რაზმსა და უმხნესი მათი, ჩინ ბაადური, ჰოროლითა ცხენისაგან ქუეყანად დასცა“ - გადმოგვცემს მემატიანე. როგორც ჩანს, ჯარს თვითონ სარგისი ედგა სათავეში. გაიმართა სასტიკი ბრძოლა. არღუნის ლაშქრიდან ბევრი დაიღუპა. ბოლოს მონღოლებმა ვეღარ გაუძლეს მეფის ჯარის შემოტევას და ბრძოლის ველიდან უკუიქცნენ. აქ კი მათ თავიანთი ჩვეული ხერხი გამოიყენეს: „ვითა არს ჩვეულება თათართა ლტოლვა და გარე უკუქცევა, ანაზდად გარე უკუნიაქცეს.“

თათართა ამ მანევრმა გაჭრა - მტერს დადევნებული და გაფანტული ქართველთა ჯარი შემობრუნებულმა და ჩასაფრებულმა მონღოლებმა შუაში მოაქციეს და სასტიკად დაამარცხეს. ჟამთააღმწერელი ასე აგვიწერს ამ ამბავს: „სულთამოკლექმნილნი სპანი მეფისანი ილტვოდეს მსწრაფლ. ესრეთ განწირულნი და მიმოდაბნეულნი თათართა მიერ მოისროდეს... უწყალოდ ხოცდეს და მრავალნი სახელოვანი მოსრნეს თათართა.“ ქართველთა ჯარიდან მხოლოდ მცირე ნაწილიღა გადარჩა. დავით ულუ და სარგის ჯაყელი შერჩენილი ჯარით სამცხეში გადავიდნენ. არღუნმა ქართველთა ჯარის დადევნება ვერ გაბედა. მისი ზარალიც საკმაოდ დიდი იყო, ამიტომ იგი უკან, ურდოში გაბრუნდა.

გორათი მეტად მდიდარია არქეოლოგიური მასალით, რომლებიც შემთხვევითაა აღმოჩენილი ამ ტერიტორიაზე ახალი სამარხების გამართვის დროს.

ამჯერად შევჩერდებით ჯერ აქ აღმოჩენილ ერთი შემთხვევით აღმოჩენილი „სამარხის“ ნივთებზე(სულ 8 ნივთი). ეს სამარხი ჩვენ მიგვაჩნია „წარჩინებული მეომრის“ სამარხად, რისი თქმის საფუძველსაც გვაძლევს აქ აღმოჩენილი ნივთების შესრულების მაღალი ოსტატობის დონე. ასევე სამარხში ისეთი ნივთების სიმრავლე, რომლებიც ამ დარგის მეცნიერების მხრიდან ერთხმად არიან აღიარებულნი ისეთ ნივთებად, რომლებიც იმ ეპოქაში მაღალი რანგის მეომართა საკუთრება შეიძლებოდა ყოფილიყო. თანაც, ყველა ნივთი სამარხში ჩატანებამდე არის შეგნებულად დაზიანებული. მისი აღმომჩენის, მ. ჩაჩოიანის თქმით, ეს ნივთები ერთ დონეზეა („ერთ სამარხში“) აღმოჩენილი, რასაც ამ ნივთების ქრონოლოგიური თანადროულობაც ადასტურებს. ესენია: 1. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, 2. ბრინჯაოს ქვაბი, 3. კოლხური ცული, 4. აბზინდა, 5. ბრინჯაოს ღერო, 6. მთლიანადსხმული და 7. ყუნწიანი სატევარი, 8. შუბისპირის ფრაგმენტი. ეს ნივთები დღეისათვის ხაშურის მუზეუმის ექსპონატებს წარმოადგენენ.

წარმოგიდგენთ ამ ნივთებს:

დოქის პირ-ყელი, ლეგა-ნაცრისფერი ზედაპირით. როგორც ჩანს

(დასასრული III გვერდზე)

გადავარჩინოთ ჩვენი წარსული - გ ო რ ა თ ი შველას ითხოვს

(დასასრული)

მაღალყელიანი ჭურჭლის უნდა იყოს, ზედაპირზე ემჩნევა ვერტიკალური ნაპრიალები ზოლები, პირს ორი კონცენტრული ღარი შემოუყვება. ჭურჭელი ძაბრისებრყელიან ჭურჭლებს მიეკუთვნება.

კოლხური ცული, ბრინჯაოსი. ეს არის ტიპიური კოლხური ცული, ექვსწახნაგოვანი და წაგრძელებული მოხდენილი ტანით. საერთოდ, ეს ცულები იმდენად მასიური და მტკიცეა, რომ მისი იოლად გადატეხა წარმოუდგენელია. უნდა ვიფიქროთ, იგი სპეციალურადაა შუაზე გადატეხილი (როგორც ჩანს, რაღაც რიტუალთან გვაქვს საქმე). ასევეა სპეციალურად დაზიანებული ამ სამარხის სხვა დანარჩენი ნივთებიც(ქვაბი, სატევრები, შუბისპირი). სატარის ორივე მხარეს გამოსახულია პირით ყუისკენ



მიმართული აქტიურ პოზაში მდგარი ძაღლის ფიგურა. ცხოველის ტანი სხვადასხვა ორნამენტითა და გრავირებითაა შემკული.

ქვაბი, ბრინჯაოსი, საკმაოდ დაზიანებული და დეფორმირებული. იგი ნახევარსფეროსებური ყოფილა, ოთხყურა. ჭურჭელს ძირი მომრგვალ აქვს, რაც მიგვანიშნებს რომ იგი საკიდზე მაგრდებოდა ან სადგარზე უნდა მდგარიყო. ნახევარსფეროს ფორმის ბრინჯაოს ოთხყურა და ორყურა ქვაბები მრავალგან არის აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე. ასეთი ქვაბების შემცველი სამარხების უმრავლესობა გამოირჩევა თანმხლები არქეოლოგიური მასალის მრავალფეროვნებით, რაც დაკრძალულთა სიმდიდრეზე და მათ სოციალურ დაწინაურებაზე უნდა მიანიშნებდეს.

აბზინდა, ბრინჯაოსი. ესეც გადატეხილია ორ ნაწილად და აკლია კავის ნაწილი. ზედაპირი ინკრუსტირებული სამკუთხა და რომბისებური ფორმის რკინის ფირფიტებით. გრძივი გვერდის გასწვრივ მდებარე ღარში დატანებულია სარტყლის დასამაგრებელი ათი ნახვრეტი. მსგავსი აბზინდები კოლხური კულტურის არეალში მრავლად არის აღმოჩენილი.

სატევარი, ბრინჯაოსი, ყუნწიანი, დაზიანებული. მისი ყუნწი მრგვალგანივკვეთიანია, ყუნწის ორივე მხარეს სამანჭვლე ნახვრეტია დატანებული. ასეთ სატევრებს უწოდებენ ლინზისებურგანივკვეთიან სატევრებს. აღმოჩენილია საქართველოს მრავალ ადგილას.

სატევარი, ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული, დაფანჯრულთავიანი. ეს სატევარიც ძალიან არის დაზიანებული - გადატეხილია ტარის ადგილიც და

პირიც. მსგავსი სატევრები ძირითადად გვიაბრინჯაო-ადრერკინის ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებზეა აღმოჩენილი და ეპოქის განმსაზღვრელ ნივთს წარმოადგენს.

გარსაკრავი ბრინჯაოსი, ოვალურგანივკვეთიანი, ნაკლული. ეს ნივთიც შეგნებულად არის დაზიანებული. იგი ოდნავ მოხრილია და ზედაპირი წიწვისებური და ირიბი ნაჭდევებითაა შემკული.



შუბისპირი ბრინჯაოსი, დაზიანებულია, შემორჩენილია ფრაგმენტულად პირის ნაწილი. აქვს მაღალი ქედი.

აი, იმ ნივთების ჩამონათვალი, რომლებიც გორათზე არიან აღმოჩენილნი ერთ „სამარხში“. ეს ნივთები თარიღდებიან ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით. სამარხი, როგორც ზემოთ ითქვა, მდიდრულ სამარხებს განეკუთვნება, რაზეც მიგვანიშნებს აქ აღმოჩენილი ინვენტარი. უნდა ითქვას ისიც, რომ ეს ნივთები შეგნებულად არიან დაზიანებულნი. შესაძლოა ეს გარკვეულ რიტუალსაც უკავშირდებოდეს, მაგრამ არც ის არის გამორიცხული რომ, ეს მათი დამზადების მაღალი დონითა და იშვიათობით იყოს გამოწვეული და სამარხის გაძარცვის თავიდან ასაცილებლად იყოს გამიზნული.

ამ ნივთების გარდა, გორათი დიდ ყურადღებას იმსახურებს ერთი უნიკალური ნივთის გამო, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილ მონაპოვრებს შორის გამოირჩევა თავისი უნიკალურობით. ეს არის ე.წ. ქალღვთაება-სასმისი. დამზადებულია იგი თიხისაგან და წარმოადგენს გვიანბრინჯაოს ეპოქის ხელოვნების უნიკალურ ნიმუშს. მისი განსაკუთრებულობა პირველ რიგში იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთდროულად ღვთაებაც არის და სასმისიც.

ნივთი გამოფენილი იყო 2017 წელს საფრანგეთის ქალაქ ბორდოში გამოფენაზე, რომლის სახელწოდება იყო: „საქართველო - ვაზისა და ღვინის სამშობლო“. მოგეხსენებათ, რომ 2016 წელს ქალაქ ბორდოში დაარსდა ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრი და მომდევნო 2017 წლის ზაფხული, პირველი გამოფენა ამ ცენტრმა მიუძღვნა საქართველოს, როგორც ღვინისა და ვაზის სამშობლოს. გამოფენაზე წარგზავნილ მრავალ ექსპონატს შორის გამოფენილი იყო ეს ნივთიც, როგორც ერთ-ერთი უნიკალური არტეფაქტი. ნივთი შეისწავლა არქეოლოგმა ბიძინა მურვანიძემ. მან მოგვცა ამ ნივთის სრული დახასიათება.

როგორც არქეოლოგი ბ. მურვანიძე აღნიშნავს, ნივთი სითხის ჩასასხმელი სარიტუალო ჭურჭელია, რომლის ტევადობა 220 გრამია. „თავისი ფორმითა და შინაარსით მას საქართველოს არქეოლოგიურ მონაპოვარში ანალოგი არ მოეპოვება. ცნობილია, რომ სარიტუალო ჭურჭლებს იყენებდნენ ყოფაში, მსხვერპლშეწირვის თუ მიცვალებულთა სულის მოსახსენებელ სხვადასხვა რიტუალში. “(ბ. მურვანიძე, შემთხვევითი აღმოჩენა გორათში, ჟურნალი „იბერია-კოლხეთი“, თბ. N6, 2010 წ. გვ. 98.).



გორათში აღმოჩენილი ქანდაკება-სასმისი ფორმით მკვეთრად განსხვავდება სადღეისოდ ცნობილი ყველა სარიტუალო სასმისისაგან. განსხვავება გამოიხატება არა მარტო ფორმაში, არამედ შინაარსშიც. თუ სხვა არქეოლოგიურად აღმოჩენილ ცალებში სასმისი ან ყანწი-რიტონი ადამიანს უჭირავს ხელში, გორათის შემთხვევაში იგი თავად ადამიანის სტილიზებული ფორმითაა წარმოდგენილი სასმისით

ფუნქციით, მხოლოდ სითხის ჩასასხმელი ადგილი პატარა ჭურჭლის სახით ზურგზე აქვს დაძერწილი.

დაბოლოს, ბ. მურვანიძე აღნიშნავს: „აშკარაა, რომ გორათის ქანდაკება-სასმისი სარიტუალო დანიშნულების ჭურჭელია. არ არის გამორიცხული, რომ გორათის ქანდაკება-სასმისი ნაყოფიერების ღვთაებას წარმოადგენდეს. ქალის თიხის ქანდაკებები ხომ დამახასიათებელი არტეფაქტია ნამოსახლარებისათვის და ნაყოფიერების სიმბოლოდაა მიჩნეული“(ბ. მურვანიძე, დასახ ნაშრომი, გვ.99.).

გორათში აღმოჩნდა ძალიან საინტერესო თიხის ჭურჭელი, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანით უნდა დათარიღდეს.ეს არის თიხის ქოთანი (ხმმ96014/ ა78836), რომელიც შავადაა გამომწვარი. იგი პირფართოა, პირგადაშლილი, სფერულტანიანი, ძირისაკენ მკვეთრად შევიწროებული. მუცელზე გარშემო მიძერწილი კოპები შემოსდევს. მცირედ დაზიანებულია. დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. შემოტანილია გორათის მკვიდრის მ. ჩაჩოიანის მიერ, 2008 წელს.

უნდა შევჩერდეთ კიდევ გორათში აღმოჩენილ რამდენიმე ნივთზე, რომლებიც ქრონოლოგიურად შესაბამის პერიოდს მიეკუთვნებიან და ბრინჯაოს ეპოქის უნიკალურ არტეფაქტებს წარმოადგენენ. დავახასიათოთ ეს ნივთებიც ცალ-ცალკე.

სატევარი ბრინჯაო, ასეთი სატევრები მიეკუთვნებიან ყუნწიანი სატევრების რიგს. სატევარს პირის ორივე მხარეზე მაღალი ქედი დასდევს, რომელიც წვეროსაკენ ვიწროვდება. აქვს სამი სამანჭვლე ხვრელი, შერჩენილი აქვს ორი მანჭვალი. უფრო საბრძოლო დანიშნულება ჰქონდა.

სატევარი, ბრინჯაოსი. ეს სატევარი ყუნწიან სატევრებს განეკუთვნება. მას არა აქვს სამანჭვლე ხვრელები, აქვს სამკუთხედის ფორმის ყუნწი, რომელიც ზემოთა მხარეს გაბრტყელებულია. როგორც ჩანს სატევარი შეგნებულად არის გადატეხილი მოღუნვის შედეგად. მსგავსი შემთხვევები ხშირია ამ ეპოქის სამაროვნებზე. ეს სატევარი მიეკუთვნება ლინზისებურგანივკვეთიან, ქედდაღარულ სატევრებს. საბრძოლო დანიშნულებისაა.

3. სატევარი, ბრინჯაო, ეს სატევარი მიეკუთვნება ფოთლისებურ, ლინზისებურგანივკვეთიან, ყუნწიან სატევრებს. სატევარს პირის ორივე მხარეს, მთელ სიგრძეზე გასდევს არამკვეთრად გამოხატული გლუვი ქედი. სატევარს მოკლე ყუნწი და ორი სამანჭვლე ხვრელი აქვს. ზედაპირი პატინითაა დაფარული. საბრძოლო დანიშნულებისაა.

4. შუბისპირი, ბრინჯაო, ასეთ შუბისპირებს ალისებური ფორმის, მასრაგახსნილ შუბისპირებს უწოდებენ. მასრა დაზიანებული აქვს - მისი ორივე მხარე ჩამოღუნულია. მასრაზე ორი სამანჭვლე ხვრელი აქვს. ზედაპირი გრავირებულია - გამოსახულია გეომეტრიული ფიგურები, ასევე გველის ფიგურა, რომლის თავთან რაღაც ფიგურაა (თევზი?) გამოსახული. ალბათ უფრო რიტუალური დანიშნულება ჰქონდა.

5. საკინძი, ბრინჯაოსი, საკინძის სფეროსებური თავი ვერტიკალურად დაღარულია. გამოიყენებოდა ტანისამოსის შესაკრავად.

6. შუბისპირი, რკინა, შუბისპირი მასრაგახსნილია. ალბათ საბრძოლო დანიშნულება ჰქონდა.

ისტორიული ძეგლი გორათი დროულად საჭიროებს სათანადო ყურადღებას. ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ამ ძეგლის დროული და სათანადო შესწავლა მრავალ საინტერესო დეტალს შესძენს ქართულ არქეოლოგიას, ჩვენი მხარე და მუზეუმი კიდევ გამდიდრდება არაერთი უნიკალური არტეფაქტებით. ჩვენი ვალია გადავარჩინოთ ძეგლი დაღუპვას, შემოვუნახოთ მომავალ თაობას წარსულის ცოდნა.

ჯონდო ქიტიაშვილი,
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციის მცველი

ულუმბო

ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32)

30. გრიგოლ ბერიკას ძე ჯავახიშვილი (14)
მისი ძმა - გიორგი (11)
31. კაცია გიორგის ძე კაპანაძე (38)
მისი ვაჟიშვილები: გიორგი (17), გრიგოლი (10), ალექსი (5)
მისი ძმა - პავლე (20)
32. იოსებ სვიმონის ძე კაპანაძე (25)
მისი ვაჟიშვილი - პავლე (2)
მისი ძმები: გიორგი (15), პეტრე (7)
33. იოსებ გლახას ძე კაპანაძე (36)
34. იოანე დავითის ძე კილაძე (55)
მისი ვაჟიშვილი: ნიკოლოზი (24)
მისი ძმები: 1. გიორგი (47)
ამის ვაჟიშვილები: ესტატე (20), ბესარიონი (12), გაბრიელი(8), სვიმონი(2)
2.იოსები (15)
3. დავითი (11),
35. ნიკოლოზ გიორგის ძე შუბითიძე (40)
მისი ვაჟიშვილები: იორდანე (20), გიორგი (15), ალექსქნდრე (12), ანდრია(10),

გრიგოლი (3)
მისი ძმისშვილები: დიანოსი (8), იოანე (10), ეგნატე (7).
36. დიმიტრი ბერის ძე მიქელაშვილი (40)
მისი ვაჟიშვილი - იოანე (12)
მისი ძმა - იოანე (35)
ამის ვაჟიშვილები: ამირანი (18), ბერი (14), ნიკოლოზი (7) ანდრო (6)

37. იოსებ გიორგის ძე კაპანაძე (60)
მისი ვაჟიშვილები: გიორგი (12), იოანე (6), ესტსტე (5), ალექსი (3), ზაქარია(1)
მისი ძმები: 1. გაბრიელი (30)
ამის ვაჟიშვილები: დავითი (6), ექვთიმე (4), ბესარიონი (6)
2. პავლე (25)
38. იოსებ იოანეს ძე აღაშვილი (20)
მისი ძმები: გიორგი (8), პეტრე (5).

საღოლაშენი:

39. გლახა თევდორეს ძე ძმორაშვილი (35)
40. ანდრია დიმიტრის ძე ძმორაშვილი (25).
41. იოსებ გოდერძის ძე ძმორაშვილი (25)
მისი ვაჟიშვილი - გაბრიელი (3)
42. შალვა იოანეს ძე ძმორაშვილი (50)
მისი ვაჟიშვილი - იოანე (15)
მისი ბიძაშვილი - ვასილი (45)
ამის ვაჟიშვილი - ფრიდონი (10)
ამათი ძმისწული - გიორგი (8)
43. დავით ბერის ძე ხარაზიშვილი (35)
მისი ვაჟიშვილეი: ბერი (10), სვიმონი (8), დიმიტრი (50, შიო (2).

წაღვლი:

44. დავით გიორგის ცუცქირიძე (40)
მისი ვაჟიშვილები: გიორგი (13), ალექსი (12), ექვთიმე (10), პეტრე (5).

ეს ის ყმა - გლეხობა უნდა იყოს, რომელსაც წლების მანძილზე დავა ჰქონდათ ამირეჯიბებთან და ამ დავაში გაიმარჯვეს.

* * *

ისტორიკოსი გიორგი ბოჭორიძე ულუმბის ეკლესიის აღწერისას აღნიშნავს: ,,ადგილობრივ პირთა გადმოცემით, ძველად ულუმბოში ყოფილა 900 მოსახლე კომლი, მათი ნასახლარები მთელ მიდამოში მოჩანს; ამაზე ყოფილა წარწერა, რომელიც ეკლესიის განახლებისას ბერძნებს მოუშლიათ, გაუტეხიათ“.

როგორი გადაჭარბებულიც არ უნდა იყოს ისტორიკოსის მიერ ულუმბოში მცხოვრებთა დასახელებული რაოდენობა - 900 კომლი, მხოლოდ ერთ რამეზე მიგვანიშნებს: ულუმბო, სასულიერო და საგანმანათლებლო ცენტრი აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს საზღვარზე არ განიცდიდა მოსახლეობის სიმცირეს და ყოველთვის მჭიდროდ იყო დასახლებული. მოსახლეობის სოფლიდან გადინება და, შესაბამისად, სიმცირე, ეს გვიან, ამ მხარეში გახშირებული ლეკიანობის შედეგი უნდა ყოფილიყო. XIX საუკუნის დასაწყისიდან ულუმბაში მოსახლეობა აღარ არის.

* * *

ულუმბის ხელმეორედ დასახლება XIX საუკუნის 60-70 - იანი წლებიდან იწყება. ამას ხელი შეუწყო საგლეხო და ბურჟუაზიულმა რეფორმებმა. მოსახლეობა ულუმბოში მომიჯნავე სოფლებიდან გადმოდის. 1886 წელს, როცა საქართველოში საოჯახო აღწერები ჩატარდა, ულუმბოში 7 კომლია დაფიქსირებული (27 კაცი და ამდენივე ქალი, სულ 54 სული.

აქ სახლდებიან გელაშვილები, კიპაროიძეები, ხარაიშვილები, კაპანაძეები, რომლებმაც ააღორძინეს და ახალი სული შთაბერეს ულუმბას. განახლდა საეკლესიო ცხოვრებაც.

ულუმბოს ისტორიისათვის, აქ მოსახლე გელაშვილებისა და კიპაროიძებისათვის, ხარაიშვილებისა და კაპანაძეებისათვის ინტერეს მოკლებული არ უნდა იყოს ულუმბის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერები. და არა მარტო მათთვის, ჩანაწერებში შეხვდებით ლომისის, ნინისის, ბროლოსნის, ტიტვინიძის ღელის (ტიტვინისწყარო), ჭიანა ღელის და სხვა სოფლების მკვიდრთა შესახებ ინფორმაციას. ეს სოფლები ულუმბის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის სამრევლოს წარმოადგენდნენ. მეტრიკული ჩანაწერები, რომლებიც დაცულია საქართველოს საისტორიო არქივში, მიოცავს 1872 წლიდან 1885 წლამდე პერიოდს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამრევლოს ცენტრი 1883 წლიდან სოფელი ბროლოსანია.

1872

4 სექტემბერს სოფ. ლომისაში მცხოვრებ გლეხს უფლისა ნასყიდას ძე გაფრინდაშვილს და მართა სვიმონის ასულს შეეძინათ ქალიშვილი მარიამი.
12 სექტემბერს მონათლეს.
ულუმბოს სამრევლოს მღვდელი ალექსი კევლიევი (კევლიშვილი)
,,პრიჩეტნიკი'' ლუკა მალიძე

* * *

6 თებერვალს სოფ. იტრიაში მცხოვრებმა გიორგი რევაზის ძე გელაშვილმა(19) იქორწინა შოპრაპნის მაზრის სოფ. კორბეულში მცხოვრები გარდაცვლილი გლეხის - გიორგი ტალახაძის ასულ აღათიაზე(18). სიძის თავმდებნი სოფ. ნინისში მცხოვრებნი ზურაბ ივანეს ძე და გიორგი პავლეს ძე ლომიძეები და ასპან ივანეს ძე ტეფნაძე. სასძლოს თავმდებნი სოფ. ნინისში მცხოვრებნი ნიკოლოზ ფარსადანის ძე სულაბერიძე, გრიგოლ კვირიას ძე ტეფნაძე და ფირანა პავლეს ძე ლომიძე.

მაისს სოფ. ულუმბაში მცხოვრებმა მიხეილ პეტრეს ძე გელაშვილმა (17) იქორწინა შორაპნის მაზრის სოფ. ჯალაურთაში მცხოვრებ ბასლა დუღაძის ასულ ნატალიაზე (18). სიძის თავმდებნი ულუმბაში მცხოვრებნი მაქსიმე ოქროს ძე, გიორგი სვიმონის ძე და გრიგოლ ივანეს ძე ხარაიშვილები. სასძლოს თავმდებნი სოფ. ბროლოსანში მცხოვრებნი ოქროპირ მამუკას ძე ჩინჩალაძე, სოლომონ ივანეს ძე ტაბატაძე და საჩინო ივანეს ძე გელაშვილი.

27 მაისს სოფ. ჭიანაღელეში მცხოვრებმა თეიმურაზ ანდრიას ძე მულაძემ (17) იქორქინა სოფ. ულუმბაში მცხოვრები სფირიდონ ხარაიშვილის ასულ სალომეზე (17). სიძის თავმდებნი სოფ. ჭიანაღელეში მცხოვრებნი ფარსადან თამაზის ძე, ალექსი ზურაბის ძე, იოსებ მურშის (?) ძე გელაშვილები. სასძლოს თავმდებნი ულუმბაში მცხოვრებნი გრიგოლ ივანეს ძე ხარაიშვილი, ნიკოლოზ პეტრეს ძე გელაშვილი და სვიმონ ბასილას ძე გელაშვილი.

29 ივნისს სოფ. ალში მცხოვრებმა სარდიონ სფირიდონ მღვდლის ძე მაჭაროვმა (მაჭარაშვილი)(34) იქორწინა შორაპნის მაზრის სოფ. ლაშეში მცხოვრები გარდაცვლილი აზნაურის - ფირან მაჭავარიანის ასულ ელენეზე (13). სიძის თავმდებნი სოფ. ალში მცხოვრებნი გიო როსტომის ძე, რამაზა გიორგის ძე და პეტრე გიორგის ძე ნოზაძეები. სასძლოს თავმდებნი სოფ. ალში მცხოვრებნი აზნაური სანდრო მერაბის ძე ჩარექოვი, გლეხები სინო კიკოლის ძე გელაშვილი და ზაქარია სვიმონის ძე გვარამაძე.

* * *

2 აგვისტოს სოფ. ნინისში გარდაიცვალა გრიგოლ კვირიას ძე ტეფნაძე, 30 წლის, ჭვლისაგან.

25 აგვისტოს სოფ. ულლუმბოში გარდაიცვალა გიორგი ხარაიშვილის ასული ქეთევანი, 1 წლის, ,,სივსიგნისაგან.''

27 აგვისტოს სოფ. ულუმბოში გარდაიცვალა დიმიტრი დავითის ძე კევლიევი, 60 წლის, თიაქარისაგან.

15 ნოემბერს სოფ. ულუმბოში გარდაიცვალა მერაბი ხარაიშვილის ასული ევდუქსია, 1 წლის, ,,სივსიგნისაგან''

1873

2 ივნისს, ულუმბოში მცხოვრებ მიხეილ პეტრეს ძე გელაშვილს და ნატალია ვასილის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ალექსი. 10 ივნისს მონათლეს. მიმრქმელი ამავე სოფელში მცხოვრები გიორგი ოქროპირის ძე ხარაიშვილი.

20 ივნისს ულუმბოში მცხოვრებ ივანე თევდორეა ძე ხარაიშვილს და მელანია პეტრეს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი იოსები. 28 ივნისს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. ქინძათში მცხოვრები ივანე გიორგის ძე ნოზაძე.

12 აგვისტოს, ულუმბოში მცხოვრებ ივანე გიორგის ძე კაპანაძეს და ზეხათუნ გიორგის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ელისაბედი. 20 აგვისტოს მონათლეს. მირმქმელი შორაპნის მაზრის სოფ. ლიჩში მცხოვრები გიორგი მახარას ძე ტაბატაძე. 4 სექტემბერს სოფ. ლომისაში მცხოვრებ ნასყიდა გიორგის ძე სულაბერიძეს და სალომე ქრისტესიას ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ივანე. 12 სექტემბერს მონათლეს. მირმქმელი სოფ. გორაბეულში მცხოვრები გარსევან მოსეს ძე ყიფშიძე. 8 ოქტომბერს სოფ. ულუმბოში მცხოვრებ გიორგი ოქროას ძე ხარაიშვილს და ანა სოლომონს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ივანე. 16 ოქტომბერს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. წაღვლში მცხოვრები იოსებ პეტრეს ძე გელაშვილი *
2 ნოემბერს, სოფ. ულუმბოში გარდაიცვალა ასლანა გელაშვილის მეუღლე მელანია ფარსადანის ასული, 22 წლის, ცხელებისაგან.

1874

8 მარტს, სოფ. ულუმბაში მცხოვრებ ეგნატე ვასილის ძე გელაშვილს და პელაგია ნიკოლოზის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი პავლე. 16 მარტს მონათლეს. მიმრქმელი ულუმბის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მედავითნე ლუკა სვიმონის ძე მალიძე.

12 მარტს სოფ. ულუმბაში მცხოვრებ მაქსიმე ოქროას ძე ხარაიშვილს და ელისაბედ სვიმონის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი გაბრიელი. 20 მარტს მონათლეს. მიმრქმელი შორაპნის მაზრის სოფ. ხვანში მცხოვრები გლახა ფარსადანის ძე ხარაიშვილი.

3 ივნისს სოფ. ლომისაში მცხოვრებ ალექსი გიორგის ძე გაფრინდაშვილს და თამარ ივანეს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ნიკოლოზი. 10 ივნისს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. ქინძათში მცხოვრები გიორგი იოსების ძე ნოზაძე.

17 ივნისს, სოფ. ულუმბაში მცხოვრებ ნიკოლოზ პეტრეს ძე გელაშვილს და მაია დავითის ასულს შეეძინათ ქალიშვილი სალომე. 25 ივნისს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. ახალუბანში მცხოვრები გიგო ნოზაძის მეუღლე სიფიო შიოს ასული.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

“ვეტერინარობა კეთილშობილური პროფესიაა” – ახალგზარდა ვეტერინარი ხაშურიდან

“ჩვენს პროფესიაში ყოფნა ნიშნავს უანგარო და უპირობო სიყვარულს ცხოველების მიმართ”, – ამბობს 21 წლის ვეტერინარი, რომელიც ხაშურში მიუსაფარ ცხოველებზე ზრუნავს.

დავით რობაქიძე ახალგაზრდა ვეტერინარია, რომელიც წლებია შინაურ ცხოველებს მკურნალობს. დავითს განსაკუთრებით მიუსაფარი ცხოველები ადარდებს და როგორც თავად ამბობს, მათი მოვლა-პატრონობა საკუთარ მისიად ბავშვობაშივე გაიხადა – აჭმევდა და საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო დახმარებასაც უწევდა.

“როგორც ყველა ბავშვს, მეც ძალიან მიყვარდა ცხოველები. ოჯახში სულ გვყავდა სხვადასხვა შინაური ცხოველი და ფრინველი. პატარა ასაკში სულ მქონდა პროტესტი, როდესაც ჩემ გაზრდილ შინაურ ფრინველებს გააჩუქებდნენ და სხვებს აძლევდნენ. ამის გამო, ერთხელ, სახლიდან გავიქეცი, ბევრი ვერ ხვდებოდა, რატომ უნდა მყვარებოდა ისეთი შინაური ცხოველი ან ფრინველი, რომელიც იჭმევა, მაგრამ მე მიყვარდა და უდიდეს პროტესტს გამოვთქვამდი, თუ დაკვლის საფრთხე დგებოდა. ხშირად ყოფილა, როდესაც ქუჩიდან ამიყვანია ძაღლი და მიპატრონია, ასე იყო ადრეც და ასეა ახლაც”, – გვიყვება დავითი.

სკოლის დასრუების შემდეგ, დავითმა სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქიმიის მიმართულებით დაიწყო, თუმცა ცხოველების მიმართ მისი სიყვარული არ განელებულა. გამომდინარე იქიდან, რომ ხაშურში ბევრი მიუსაფარი ცხოველი იყო, რომელსაც სპეციალისტის დახმარება სჭირდებოდა, საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ვეტერინარი გამხდარიყო.

“ბავშვობიდან ქიმია ძალიან მიყვარდა, ამიტომ ჯავახიშვილში ეს მიმართულება ავირჩიე და ერთი კურსი ვისწავლე. ამ დროს ხაშურში მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებით რთული მდგომარეობა იყო, კლინიკას არ ჰყავდა კადრები, რომელიც მათ საჭირო კვლევებს ჩაუტარებდა, გადასხმას დაუდგამდა. ვინაიდან დედა ვეტერინარია, მასთან ერთად დავიწყე ამ პროფესიის ათვისება, თავიდან მხოლოდ იმიტომ, რომ დავხმარებოდი, შემდეგ უკვე პროფესიული კურსიც გავიარე, ვისწავლე და გავხდი ვეტერინარი”.

დავითი ახლა უმცროსი ვეტერინარ-სპეციალისტია, სერთიფიცირება აქვს ფართო პროფილის ვეტერინარიაზე, რაც გულისხმობს ნებისმიერი ცხოველის მკურნალობას.

“ჩემი ოჯახის წევრები სულ მეუბნებოდნენ, რომ ჩემგან კარგი ვეტერინარი გამოვიდოდა, დედაჩემიც ამ პროფესიაშია და სიმართლე გითხრათ, არ ურჩევია, რომ ეს გზა ამერჩია, რადგან იცოდა, როგორი რთული იყო და ალბათ ამიტომ. ეს არის მუდმივი სტრესი, როდესაც ვერ შველი პაციენტს და იღუპება, ან ისეთი დაავადება აქვს, რომიტანჯება, თუმცა, რათქმაუნდა, გადარჩენილიდაგამოჯანმრთელებული ცხოველიც არაერთია და ეს გახარებს, მაგრამ საერთო ჯამში გცვლის ექიმის პროფესია. არ არსებობს დღე, ღამე - მუდმივად ჩართული ხარ და ალბათ ამისთვის ჩემი გამეტება არ უნდოდა, თუმცა ვარ იქ, სადაც უნდა ვიყო და ვემსახურები კეთილშობილურ საქმეს, რომელსაც ცხოველების მოვლა-პატრონობა ჰქვია”.

დავითი განსაკუთრებულ ყურადღებას უსახლკარო ცხოველებს უთმობს, აწუხებს მათი ბედი და ამბობს, რომ ეს მოცემულობა, რაც ახლაა, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანების ბრალია.

“უნდა გავიაზროთ, რომ ეს ცხოველები თვითონ არ გაჩენილან ქუჩაში. ყველა ცხოველთმოყვარეს გვინდა, რომ შინაური ოთხფეხა მეგობრები იყვნენ დაცულები, ჯანმრთელები, ჰქონდეთ თავშესაფარი და ჰყავდეთ ერთგული პატრონი. ხშირად ზუსტად ის ადამიანები გამოთქვამენ ქუჩის ძაღლებზე პრეტენზიას, რომლებმაც თავად გამოაგდეს ქუჩაში ცხოველი. სამწუხაროდ, ცნოებიერების პრობლემას ვხედავ და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას. ის, ვინც აიყვანს ძაღლს ან კატას, უნდა ესმოდეს, რომ სულ ლეკვი ვერ იქნება, ის გაიზრდება და სხვადასხვა საჭიროება გაუჩნდება. როდესაც ეს საჭიროება უჩნდება, ისინიც გარეთ გამოსვამენ და პასუხისმგებობისგან თავს ითავისუფლებენ, ეს უნდა აღმოიფხვრას, ასეთი ფაქტები აღარ უნდა მოხდეს და ნაკლები უპატრონო ცხოველი გვეყოლება”, – აღნიშნავს დავითი.

დავითი ვეტერინარიის მიმართულებით სამაგისტრო კურსის გავლას აპირებს. ამბობს, რომ ამ პროფესიაში ყოფნა ყოველდღიურად საკუთარ თავზე მუშაობას და განვითარებას მოითხოვს.

ანა ჯიოშვილი

<u>- ქართული ცეკვა -</u>

ნინო ლომსაძის ამერიკული ტრიუმფი

ხაშურელი ნინო ლომსაძე 17 წლის მოცეკვავეა და ანსამბლ “ოქროს ფარს” წარმოადგენს, მან ამერიკაში, ლას-ვეგასში გამართულ ინდივიდუალური ცეკვის კონკურს-ფესტივალზე პირველი ადგილი აიღო. “ეს იყო, საოცრება! გოგონა,რომელიც სულიდან ხორცამდე გრძნობდა ცეკვას! ლას ვეგასის მსოფლიო ფესტივალზე,ხაშურის ქორეოგრაფიული ანსამბლის ,, ოქროს ფარის,, სოლისტმა ნინო ლომსაძემ პირველი ადგილი და ჟიურის დიდი მოწონება დაიმსახურა. შემიძლია თამამად აღვნიშნო რომ ნინომ ,მთლიანი ანსამბლის (დიდი ოჯახის) დაკისრებული ვალდებულება ,პირნათლად შეასრულა და ანსამბლის ,,ოქროს ფარი,, საქართველოს დროშით,დიდი რუდუნებით წარმოადგინა! ვულოცავ ხაშურს ვასკვლავ გოგონას წარმატებას! ასევე ქალბატონ ნონა თედიაშვილი,მინდა

განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო,გაწეული თანადგომისთვის! აქვე დავძენ,რომ ნინის ,,არტ-ფესტისგან,, განსაკუთრებული სიურპრიზი ელოდება...” – წერდა ფესტივალის ორგანიზატორი „არტ-ფესტი“ ოფიციალურ ვებ გვერდზე. ეს მართლაც უდიდესი მიღწევაა ანსამბლისა და მისი მოცეკვავისათვის. ხაშურის ისტორიაში პირველად ავიდა ამერიკულ სცენაზე ხაშურელი მოცეკვავე „ოქროს ფარიდან“ და პირველივე ამერიკულ სცენაზე მისი გაელვება პირველი ადგილით დაჯილდოვდა. გთავაზობთ ინტერვიუს ნინო ლომსაძესთან.

- ნინო, პირველი, რაც მინდა გკითხო, შენი გამარჯვების ემოცია... ალბათ, ძალიან ამაყი იყავი საქართველოს დროშით სცენაზე?

- კი, რა თქმა უნდა... კონკურსის დაწყებამდე ვნერვიულობდი, თუმცა სცენაზე გასვლისთანავე ნერვეულობა დავივიწყე, გავხდი მეტად თავდაჯერებული და ვიცეკვე. ეს იყო წინაპირობა იმის, რომ კონკურსზე ამეღო პირველი ადგილი. როდესაც გავიგე, რომ პირველი ადგილი მომაკუთვნეს, ეს იყო ჩემთვის ძალიან საამაყო და ემოციური... ვერ ვმალავდი ემოციებს. მივიღე უამრავი თბილი შეტყობინება ჩემი გულშემატკივრებისაგან. მინდა მათ ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო. მაშინ გავაანალიზე თუ რაოდენ საამაყო მნიშვნელოვანია შენი ქვეყნის ასე ღირსეულად წარმოჩენა.

- ნინო, მოგვიყევი ფესტივალის შესახებ...

- კონკურსი იყო როგორც ინდივიდუალურ, ასევე მასიურ ცეკვებში. მასში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები და რაღა თქმა უნდა, იყო ძალიან მაღალი კონკურენცია. საკმაოდ ძლიერი კონკურენტები მყავდა, მაგრამ ქართული კულტურა და ხელოვნება ხომ შეუდარებელია... მე ვეცადე ცეკვით ჩემი მაქსიმუმი გამკეთებინა და წარმომეჩინა ჩემი ქვეყანა ღირსეულად. ბედნიერი ვარ, ავიღე პირველი ადგილი, ვასახელე ჩემი ქვეყანა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩემი ქალაქი.

- ნინო, ამერიკული შთაბეჭდილებებიც გაგვიზიარე...

(დასასრული VI გვერდზე)

ცის კაბადონიდან დანახული სოფელი ალი.
ნუკრი მანძულაშვილის ფოტო.

- ქართული ცეკვა -

ნინო ლომსაძის ამერიკული ტრიუმფი

(დასასრული)

- ლოს-ანჟელესში მოვინახულეთ ვარსკვლავთა ხეივანი, ცნობილი ჰოლივუდის მთა და ის ადგილი, სადაც ყოველწლიურად ტარდება „ოსკარის“ დაჯილდოვების ცერემონია. ასევე ვნახეთ ლას-ვეგასის ულამაზესი ადგილები.

უნდა აღვნიშნო, რომ ამერიკა მართლაც შესანიშნავი ქვეყანაა, მიუხედავად, რომ ეს არ არის ჩემთვის პირველი ფესტივალი, ლას-ვეგასი მაინც გამორჩეულია ჩემთვის. ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან მომეცა შესაძლებლობა მენახა ამერიკის კონტინენტი, ეს არის ქვეყანა, სადაც კარგავ დროის შეგრძნებას, გაქვს სრული თავისუფლება და აკეთებ იმას, რაც შენ გინდა.

ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა, ჩემს ქორეოგრაფს ნონა თედიაშვილს, რადგან მომცა შანსი მენახა ამერიკის კონტინენტი და მონაწილეობა მიმეღო ლას-ვეგასის მსოფლიო ფესტივალზე. ძალიან დიდი მადლობა ჩემს გულშემატკივრებს ჩემი სიხარულის გაზიარებისათვის და, რაღა თქმა უნდა ,ძალიან დიდი მადლობა ჩემს მშობლებს მხარდაჭერისთვის, მინდა რომ ისისნი ყოველთვის ამაყობდნენ ჩემით.

ნინო ლომსაძე „ოქროს ფარში უკვე 7 წელია ცეკვავს. მისთვის ცეკვა ასოცირდება ბედნიერებასთან და თავისუფლებასთან. „როდესაც სცენაზე გავდივარ, მაყურებლისაგან იმხელა ემოცია მოდის, რომ მაქვს სტიმული უფრო მეტი გავაკეთო, უფრო მეტი ვიშრომო ჩემი საყვარელი საქმისთვის,“- ამბობს ნინო. კიდევ ერთი სიახლე ნინოს პროფესიულ საქმიანობაში. ახლა ნინო ლომსაძე არა მარტო ანსამბლის მოცეკვავე იქნება. სექტემბრიდან „ოქროს ფარის“ 1 კურსელებს ჩაიბარებს, მრავალი მსოფლიო ფესტივალების ლაურეტი და ლას-ვეგასის კონკურსის 1 ადგილის მფლობელი მოცეკვავე მათ ცეკვის ანა-ბანას შეასწავლის. პატარებს ასეთი ლამაზი და წარმატებული რეპეტიტორი ეყოლებათ, რომელთაც თავის გამოცდილებას გადასცემს და ანსამბლისთვის მოამზადებს. წარმატებები ნინოს!

თეა ახალკაცი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.